შეთანხმება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების და არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტს შორის

ქ. თბილისი 19 მაისი 2021 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოდგენილი მისი დეკანის, პროფ. თამარ ლომინაძის სახით და მეორე მხრივ, არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, პროფ. ნუგზარ ყავლაშვილის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. ფაკულტეტისა და ინსტიტუტის თანამშრომლობა სამეცნიერო საგანმანათლებლო მიმართულებით, მათ შორის ფაკულტეტის „კომპიუტერული სისტემების და ქსელური ტექნოლოგიების“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, ასევე სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფისა და მატერიალურ ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის ხელშეწყობის მიზნით;
2. ინსტიტუტი გამოთქვამს მზადყოფნას ამ შეთანხმების პირველ პუნქტში მითითებული საგანმანათლებლო პროგრამების 5 სტუდენტისათვის საწარმოო პრაქტიკა განახორციელოს ანაზღაურების გარეშე;
3. სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის გავლა განხორციელდება ინსტიტუტის ბაზაზე, მისამართზე ქ. თბილისი, მინდელის N10;
4. სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკაზე პასუხისმგებელი პირების (მენტორი) გამოყოფა მოხდება ფაკულტეტისა და ინსტიტუტის მიერ;
5. ინსტიტუტი უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ საწარმოო პრაქტიკის სრულფასოვან და ეფექტურ გავლას;
6. ინსტიტუტი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის შინაგანაწესის, ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების გაცნობას;
7. საწარმოო პრაქტიკის დასრულებისთანავე ინსტიტუტი უზრუნველყოფს თითოეულ სტუდენტზე დასკვნა-დახასიათების გაცემას;
8. ფაკულტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების გაგზავნას და მათზე კონტროლს საწარმოო პრაქტიკის პერიოდში;
9. ფაკულტეტი უზრუნველყოფს პრაქტიკანტი სტუდენტების სახელობითი სიის და პრაქტიკის სილაბუსის მიწოდებას პრაქტიკის დაწყებამდე 1 (ერთი) თვით ადრე;
10. ფაკულტეტი და ინსტიტუტი უზრუნველყოფენ თითოეული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის ინდივიდუალური დავალების თემატიკის შეთანხმებას პრაქტიკის დაწყებამდე 1 (ერთი) თვით ადრე;

11. საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობა სტუდენტთა თითოეული ნაკადისათვის განისაზღვრება მე-2 სასწავლო წელს, მე-3 სემესტრში 15 კვირის განმავლობაში 90 საათის მოცულობით, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით;
12. შეთანხმება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

იმს-ის ფაკულტეტის	არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის
დეკანი----------	დირექტორი----------
თ. ლოლინაძე	ნ. ყავლაშვილი